კონფიდენციალურობის განცხადება

ევროპის საბჭოს და ევროკავშირის 2018 წლის 23 ოქტომბრის

No. 2018/1725 რეგულაციის მე-15 და მე-16 მუხლების მიხედვით

2023 სექტემბერი

კვლევა ახლებური სწავლების შესახებ

ძირითადი ინფორმაცია

კონტროლზე პასუხისმგებელი პირი

ETF-ის დირექტორი (director@etf.europa.eu)

ბიზნესის მფლობელი

ერია კაიკონენი, პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, Xavier.Matheu-de-Cortada@etf.europa.eu

მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ტიციანა ციკარონე / ლორენს რიენი, DataProtectionOfficer@etf.europa.eu

დამუშავების მიზანი

ინფორმაციის დამუშავება ხდება ETF ვებ-გვერდსა და სოციალურ პლატფორმებზე მაგალითების, დამატებითი გამოკითხვების, პუბლიკაციების განთავსებისა და CNL პარტნიორობის შესახებ გამოცხადებული კონკურსის ადმინისტრაციული მართვის მიზნით.

საკანონმდებლო ბაზა

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გამოიყენება რეგულაცია Regulation No. 1339/2008, ევროპის ტრენინგების ფონდის ჩამოყალიბების შესახებ, მუხ. 2, პარაგრაფი (ვ).

პერსონალური მონაცემები

მონაცემები, რომელთა შეგროვებაც ხდება:

- *სახელი, გვარი, საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ელ. ფოსტა, ტელეფონი) (ყველა იმ ადამიანის, რომელიც წარმოადგენს კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებს)*
- *დამატებითი კვლევების და ინტერვიუს პასუხები, ვიდეოები მაგალითების შესახებ (მაგალითებისთვის შერჩეული პირები)*

პერსონალურ მონაცემთა მიმღებები

გამოცხადებული კონკურსი მონაწილეობის შესახებ და შემდგომი აქტივობები ხორციელდება ETF-ის მიერ დაქირავებული მკვლევრების მიერ (შემდგომში - „კონტრაქტორი“), რომლებიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ.

- პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება კონტრაქტორის მიერ
- შემდგომი კვლევების და ინტერვიუების დროს მიღებული ინდივიდუალური პასუხების გაზიარება არ ხდება. ETF-ის გუნდს პასუხები (კვლევის პასუხები და ინტერვიუს შედეგები) ანონიმური სახით მიეწოდება.

- ვიდეოები და ფოტოები შესაძლოა პუბლიკაციებში იყოს გამოყენებული.

დამატებითი ინფორმაცია

მონაცემთა შენახვა

შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს კონტრაქტორი შეინახავს კვლევის მიმდინარეობისას, ხოლო დასრულების შემდეგ მონაცემები წაიშლება.

გამოკითხვის შედეგებსა (პერსონალური მონაცემების გარეშე) და ინტერვიუს მონაცემებს (ანონიმურად) ETF პროექტის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში შეინახავს.

ETF-ის ვებ და სოციალურ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ფოტოები და ვიდეოები ETF-ის ფოტოებისა და ვიდეოებისთვის განკუთვნილი პოლიტიკის მიხედვით შეინახება[1].

წვდომის უფლება, შესწორება ან წაშლა, შეზღუდვა, გასაჩივრება

მოთხოვნა პერსონალური მონაცემებზე წვდომის, ჩასწორების ან წაშლის, ასევე, წვდომის შეზღუდვის ან მონაწილეობის შეწყვეტის შესახებ წერილობით უნდა გაიგზავნოს ელ.ფოსტაზე NewLearning@etf.europa.eu, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მოთხოვნა.

გასაჩივრების უფლება

მონაცემთა მფლობელებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გაასაჩივრონ მონაცემების გამოყენება, რისთვისაც უნდა მისწერონ ETF-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს (DataProtectionOfficer@etf.europa.eu) ან ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს (http://www.edps.europa.eu).

[1] https://www.etf.europa.eu/en/about/compliance-transparency/public-access-to-documents/photos-and-video-privacy-statement